

ფინანსური ანგარიშგება

შპს სმარტლი (ს.კ 402026491)

2024 წლის 31 დეკემბერი



ფინანსური ანგარიშგება

შპს სმარტლი (ს.კ 402026491)

2024 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების აბსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2024	2023	2022
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	5,553,653	3,978,290	3,561,842
საგაქრო და სხვა მოთხოვნები	7	1,164,923	1,441,925	607,776
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	179,678	200,266	183,282
გაცემული სესხები		-	968,000	1,903,000
ინვესტიციები		1,455,348	944,948	572,864
სულ აქტივები		8,353,602	7,533,430	6,828,565
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგაქრო და სხვა ვალდებულებები	9	491,217	563,459	376,497
სულ ვალდებულებები		491,217	563,459	376,497
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		7,862,385.8	6,969,971	6,452,068
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,353,602	7,533,430	6,828,565

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

ბესიკ პაპიაშვილი
დირექტორი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ღარი	შენიშვნები	2024	2023	2022
ამონაგები		17,733,329	14,732,291	11,152,039
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულე საერთო მოგება	4	(3,878,215)	(2,797,590)	(1,763,825)
		<u>13,855,114</u>	<u>11,934,702</u>	<u>9,388,214</u>
სხვა შემოსავალი		958,123	456,453	162,698
ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,258,258)	(2,178,621)	(1,247,174)
სხვა ხარჯები		(7,839)	(1,511,893)	(25,312)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		<u>12,549,140</u>	<u>8,700,641</u>	<u>8,278,425</u>
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)		843,601	812,171	(434,415)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		<u>13,392,741</u>	<u>9,512,812</u>	<u>7,844,010</u>
სხვა სრული შემოსავალი			-	-
ორითაღი საშუალებების გადაფასება სულ წლის სრული შემოსავალი		<u>13,392,741</u>	<u>9,512,812</u>	<u>7,844,010</u>

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
2017 წლის 1 იანვარი		90,074	90,074.09
2017 წლის მოგება		(23,707)	(23,707)
2017 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(23,707)	(23,707)
2017 წლის 31 დეკემბერი		66,367	66,367
2018 წლის მოგება		(37,076)	(37,076)
2018 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(37,076)	(37,076)
2018 წლის 31 დეკემბერი		29,291	29,291
2019 წლის მოგება		1,026,848	1,026,848
2019 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,026,848	1,026,848
2019 წელს გაყვნილი დივიდენდი		(705,388)	(705,388)
2019 წლის 31 დეკემბერი		350,752	350,752
2020 წლის მოგება		256,077	256,077
2020 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		256,077	256,077
დივიდენდი		(893,809)	(893,809)
2020 წლის 31 დეკემბერი		(286,981.4)	(286,981.4)
2021 წლის მოგება		2,824,451.2	2,824,451.2
2021 წლის მთლიანი შემოსავალი		2,824,451.2	2,824,451.2
2021 წელს გაყვნილი დივიდენდი		(895,355.7)	(895,355.7)
2021 წლის 31 დეკემბერი		1,642,114.0	1,642,114.0
2022 წლის მოგება		7,844,009.9	7,844,009.9
2022 წლის მთლიანი შემოსავალი		7,844,009.9	7,844,009.9
2022 წელს გაყვნილი დივიდენდი		(3,034,055.74)	(3,034,055.7)
2022 წლის 31 დეკემბერი		6,452,068.2	6,452,068.2
2023 წლის მოგება		9,312,811.5	9,312,811.5
2023 წლის მთლიანი შემოსავალი		9,312,811.5	9,312,811.5
2023 წელს გაყვნილი დივიდენდი		(8,794,908.7)	(8,794,908.7)
2023 წლის 31 დეკემბერი		6,969,971.1	6,969,971.1
2024 წლის მოგება		13,392,741.4	13,392,741.4
2024 წლის მთლიანი შემოსავალი		13,392,741.4	13,392,741.4
2024 წელს გაყვნილი დივიდენდი		(12,500,326.7)	(12,500,326.7)
2024 წლის 31 დეკემბერი		7,862,385.8	7,862,385.8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-17 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023	2022
ღარი				
მიმდინარე წლის მოგება(ზარალი)		13,392,741	9,312,812	7,844,010
კორექტირებები:				
ივეთა	8	67,580	46,577	965
საქვო ვალდებულების ანაზღაურებები				
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		13,460,322	9,359,389	7,844,975
ცვლილებები საექსპო ვალდებულებებიდან		(72,242)	186,962	(3,129,576)
ცვლილებები საექსპო მოთხოვნებიდან		277,002	(834,149)	(607,776)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან		13,665,082	8,712,201	4,107,623
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა		(46,993)	(83,560)	(71,611)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(46,993)	(83,560)	(71,611)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
გაცემული დივიდენდები		(12,500,327)	(8,794,909)	(3,034,056)
გაცემული სესხები		968,000.00	935,000.00	(703,000.00)
მიღებული სესხები				
ორღესტიყება		(510,400)	(372,084)	429,329
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(12,042,726)	(8,231,993)	(3,307,727)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		1,575,363	416,649	728,285
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში		3,978,290	3,978,290	2,833,357
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	6	5,553,653	3,978,290	3,561,642

ფინანსური შენიშვნები

ანგარიშგების

ახსნა-განმარტებითი

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “სმარტლი” (კომპანია) დაარსდა 2016 წელს და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს მარკეტინგულ, სარეკლამო და ადმინისტრაციულ საქმიანობას.

შპს “სმარტლი”-ის 50%-ის წილის მფლობელი არის ბესიკ პაპიაშვილი და 50%-ის წილის მფლობელი – კანაბერ აზნაურაშვილი.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი არის მ. კოსტავას ქუჩა #70, თბილისი, საქართველო.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე უწყისის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ რეპორტში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური

ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9306 (2023 წლის 31 დეკემბერი ერთი ამერიკული დოლარი 2.6894; ერთი ევრო 2.9753. 2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020, ერთი ევრო 2.8844. 2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976, ერთი ევრო 3.5040). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი

მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაჭირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია

ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოზდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი – 5 წელი, კომპიუტერები - 3 წელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები

გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

3.4. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთდროული განხორციელების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ასრულებს შუამავლის როლს საქონლის/მომსახურების შესყიდვასა ან/და მათი ფასნამატის გარეშე რეალიზაციის ოპერაციას, შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოგება ზარალის მიზნებისათვის შემოსავლისა და ხარჯის ოპერაცია არ მომხდარა და ანგარიშგების წარდგენა მოვახდინოთ ამ ორი კომპონენტის ურთიერთ ჩათვლის გზით.

3.5 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოძინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება,

როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაწინებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულება და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია

კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.8.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მარკეტინგული, სარეკლამო და ადმინისტრაციულ საქმიანობიდან. შემოსავლების აღიარების კუთხით მნიშვნელოვანია კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შეფასების პოლიტიკა, რის მიხედვითაც სხვადასხვა მაჩვენებელზე დაყრდნობითა და ფასნამატის პრინციპით ხდება მისაღები ამონაგების შეფასება.

3.9.

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

4.

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასები და ბონუსები	GEL2,893,912.72	GEL1,949,041.31	GEL1,144,489.00
სარეკლამო და პრომოუშენის ხარჯები	GEL1,182,302.01	GEL848,548.31	GEL619,336.00
სულ რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	GEL3,876,214.73	GEL2,797,589.62	GEL1,763,825.00

5.

ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023	2022
საიჯარო ხარჯი	GEL371,550.32	GEL311,981.00	GEL221,313.00
თანამშრომელთა ხელფასები და ბონუსები	GEL1,355,777.07	GEL1,347,766.00	GEL638,860.00
პროფესიული მომსახურება	GEL137,583.96	GEL22,856.00	GEL165,042.00
უიმედო ვალების ანარიცხები	GEL0.00		
ცვეთის ხარჯი	GEL96,055.56	GEL80,151.00	GEL54,445.00
საოფისო ხარჯები	GEL93,248.13	GEL210,683.00	GEL68,659.00
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	GEL204,042.75	GEL205,404.00	GEL98,854.00
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	GEL2,258,257.79	GEL2,178,621.00	GEL1,247,173.00

6.

ფული და ფულის ექვივალენტი

	2024	2023	2022
ფული ბანკში	GEL5,553,652.72	GEL3,978,290.30	GEL3,561,642.05
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	GEL5,553,652.72	GEL3,978,290.30	GEL3,561,642.05

7.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
უიმუდო ვალუბის ანარიცხები
საგადასახადო და სხვა მოთხოვნები

2024	2023	2022
GEL1,164,822.97	GEL2,409,925.30	GEL2,510,776.32
-GEL35,000.00	-GEL35,000.00	-GEL35,000.00
GEL1,129,822.97	GEL2,374,925.30	GEL2,475,776.32

8.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და დანადგარები	სულ
თვითღირებულება		
2017 წლის 1 იანვარი	GEL7,915.00	GEL7,915.00
შემოსვლა	GEL28,429.00	GEL28,429.00
გასვლა		
2017 წლის 31 დეკემბერი	GEL36,344.00	GEL36,344.00
შემოსვლა	GEL40,039.00	GEL40,039.00
გასვლა		
2018 წლის 31 დეკემბერი	GEL76,383.00	GEL76,383.00
შემოსვლა	GEL35,486.00	GEL35,486.00
გასვლა	-GEL1,659.00	-GEL1,659.00
2019 წლის 31 დეკემბერი	GEL110,210.00	GEL110,210.00
შემოსვლა	GEL59,763.00	GEL59,763.00
გასვლა	-GEL9,511.00	-GEL9,511.00
2020 წლის 31 დეკემბერი	GEL160,462.00	GEL160,462.00
შემოსვლა	GEL53,311.00	GEL53,311.00
გასვლა	-GEL18,134.00	-GEL18,134.00
2021 წლის 31 დეკემბერი	GEL195,639.00	GEL195,639.00
შემოსვლა	GEL150,404.00	GEL150,404.00
გასვლა	-GEL78,793.00	-GEL78,793.00
2022 წლის 31 დეკემბერი	GEL267,250.00	GEL267,250.00
შემოსვლა	GEL118,943.00	GEL118,943.00
გასვლა	-GEL55,383.00	-GEL55,383.00
2023 წლის 31 დეკემბერი	GEL330,810.00	GEL330,810.00
შემოსვლა	GEL84,297.67	GEL84,297.67
გასვლა	-GEL37,305.00	-GEL37,305.00
2024 წლის 31 დეკემბერი	GEL377,802.67	GEL377,802.67

აკუმულირებული ცვეთა

2017 წლის 1 იანვარი	GEL617.00	GEL617.00
წლის ცვეთა	GEL4,045.00	GEL4,045.00
გასვლის შემდეგ ელიმინირება		
2017 წლის 31 დეკემბერი	GEL4,662.00	GEL4,662.00
წლის ცვეთა	GEL12,693.00	GEL12,693.00
გასვლის შემდეგ ელიმინირება		
2018 წლის 31 დეკემბერი	GEL17,355.00	GEL17,355.00
წლის ცვეთა	GEL17,503.00	GEL17,503.00
გასვლის შემდეგ ელიმინირება		
2019 წლის 31 დეკემბერი	GEL34,858.00	GEL34,858.00
წლის ცვეთა	GEL25,578.00	GEL25,578.00
გასვლის შემდეგ ელიმინირება		
2020 წლის 31 დეკემბერი	GEL60,436.00	GEL60,436.00
წლის ცვეთა	GEL33,379.00	GEL33,379.00
გასვლის შემდეგ ელიმინირება	-GEL10,812.00	-GEL10,812.00
2021 წლის 31 დეკემბერი	GEL83,003.00	GEL83,003.00
წლის ცვეთა	GEL54,445.00	GEL54,445.00
გასვლის შემდეგ ელიმინირება	-GEL53,480.00	-GEL53,480.00
2022 წლის 31 დეკემბერი	GEL83,968.00	GEL83,968.00
წლის ცვეთა	GEL80,151.00	GEL80,151.00
გასვლის შემდეგ ელიმინირება	-GEL33,574.00	-GEL33,574.00
2023 წლის 31 დეკემბერი	GEL130,545.00	GEL130,545.00
წლის ცვეთა	GEL96,055.56	GEL96,055.56
გასვლის შემდეგ ელიმინირება	-GEL28,475.30	-GEL28,475.30
2024 წლის 31 დეკემბერი	GEL198,125.26	GEL198,125.26

საბალანსო ღირებულება

2017 წლის 31 დეკემბერი	GEL31,682.00	GEL31,682.00
2018 წლის 31 დეკემბერი	GEL59,028.00	GEL59,028.00
2019 წლის 31 დეკემბერი	GEL75,352.00	GEL75,352.00
2020 წლის 31 დეკემბერი	GEL100,026.00	GEL100,026.00
2021 წლის 31 დეკემბერი	GEL112,636.00	GEL112,636.00
2022 წლის 31 დეკემბერი	GEL183,282.00	GEL183,282.00
2023 წლის 31 დეკემბერი	GEL200,265.00	GEL200,265.00
2024 წლის 31 დეკემბერი	GEL179,677.41	GEL179,677.41

9.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	GEL491,216.54	GEL563,458.97	GEL376,496.70
საგაფასიანადო ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	GEL491,216.54	GEL563,458.97	GEL376,496.70

10.

დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებლები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

10.1

საკონტროლო ურთიერთობები

შპს "სმარტლი"-ს 50%-ის წილის მფლობელი არის ბესიკ პაპიაშვილი, ხოლო დანარჩენი 50%-ის წილის მფლობელი კი – კახაბერ აზნაურაშვილი.

11.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.